28/04/2025

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბატონი ზურაბ წერეთლის გარდაცვალების გამო



დიდად ვწუხვართ მსოფლიოში აღიარებული ქართველი ხელოვანის და დიდი მეცენატის, ბატონი ზურაბ წერეთლის გარდაცვალების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ იგი, ძირითადად, მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სამშობლოზე ფიქრი მას არასოდეს შეუწყვეტია და ცდილობდა, თავისი შესაძლებლობები საქართველოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინა.

თბილისში განთავსებული მისი ქანდაკებები, მონუმენტი, – საქართველოს მატიანე, თანამედროვე ხელოვნების მისი მუზეუმი, აფხაზეთის ზღვის სანაპიროს მოზაიკური სცენები ... მუდამ ყველას შეახსენებს ბატონი ზურაბის სახელს და შეინახავს მის ხსოვნას.

რა თქმა უნდა, მისი ნამუშევრები სხვა ქვეყნებშიც არაერთია, მაგრამ სამშობლოს სხვა სითბო აქვს.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და მისთვის ლოცვის ძალა.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი

თბილისი
26 აპრილი, 2025 წ.


CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

+

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და მისთვის ლოცვის ძალა.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს- პატრიარქი

თბილისი
26 აპრილი, 2025 წ.

[sazu.ge](sazu.ge)